**ხელშეკრულება №0806/1**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

ერთის მხრივ, ა(ა)იპ "გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო" (შემდგომში – „შემსყიდველი") წარმოდგენილი მენეჯერის გიორგი შათირიშვილის 2022წლის 11 იანვრის N 21 ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი ვახტანგ გიუნაშვილის სახით და მეორეს მხრივ ფ/პ ჯემალ ხმიადაშვილი პ/ნ59001086062 (სახით (შემდგომში - „შემსრულებელი"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანია: ა(ა)იპ **„გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოსთვის** სოფელ ტყვიავის საბავშო ბაღისთვისთ საკანალიზაციო ჭის ამოღების სამუშაოები, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

**2. შესყიდვის ობიექტი**

**2.1** შესყიდვის ობიექტია:

| # | დასახელება | CPV კოდი | ზ/ე | რაო-ბა | ერთ.ფასი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საკანალიზაციო სამუშაოები | 45232460 | ცალი | 1 | 2552 | 2552 |
| | | | | | **სულ:** | **2552** |

**3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება არის – 2552 (ორიათასხუთასორმოცდათორმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი, საშემოსავლოს და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

**4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

**5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები**

5.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5.2. შესრულებული სამუშაოს ადგილი: ქ.გორი სოფელი ტყვიავი.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

**6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიური ათვისებული საქონელიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

6.2. მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტი - მარიკა საძაგლიშვილი.

**7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი**

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველთან საქონლის მოწოდების შემდგომ მოხდება

5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

**8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს: - შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია: - მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; - უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:-  დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

**9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას**

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

**10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

**11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა**

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**12. ფორს-მაჟორი**

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

**13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მატერიალურ ტქნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტი  მარიკა საძაგლიშვილი.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**15. სხვა პირობები**

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

**16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები**

---

**შემსყიდველი**

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო
ს.კ.: 418471022
მის.: ქ.გორი, სტალინის გამზ.#16
ბანკი: ეროვნული ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ელ.ფოსტა: saagento18@gmail.com
**მენეჯერის მოადგილე: ვახტანგ გიუნაშვილი**

Vakhtang Giunashvili
Digitally signed by Vakhtang Giunashvili
Date: 2023.06.08 15:44:37 +04'00'

______________________

**მიმწოდებელი**

ფ/პ ჯემალ ხმიადაშვილი
პ/ნ :59001086062
მის: ქ.გორი, სოფ. ტირძნისი
,,სს ლიბერთი ბანკი‘‘
ბანკის კოდი:LBRTGE22
ა.ა.: GE06LB0711144057024000
**ფ/პ ჯემალ ხმიადაშვილი**

Jemal Khmiadashvili
Digitally signed by Jemal Khmiadashvili
Date: 2023.06.08 15:18:01 +04'00'

______________________

ა(ა)იპ “გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო”

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 08 ივნისი 2023წ.

მიმწოდებელი: ფ/პ ჯემალ ხმიადაშვილი პ/ნ59001086062

ხელშეკრულების ნომერი: 0806/1

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების" მე-8 მუხლის ,,ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები" შესაბამისად ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ - გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს" სამსახურის თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

მენეჯერის მოადგილე : ვ.გიუნაშვილი

მატერიალურ ტქნიკური უზრუნვ. სპეციალისტი Marika Sadzaglishvili Digitally signed by Marika Sadzaglishvili Date: 2023.06.08 15:52:32 +04'00' მ.საძაგლიშვილი

შესყიდვების სპეციალისტი Sopio Bolotashvili Digitally signed by Sopio Bolotashvili Date: 2023.06.08 15:22:37 +04'00' ს.ბოლოთაშვილი